



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 22



2013 წლის 8 თებერვალი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბერის #227 განკარგულებაში
„ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო
სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ“
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #227 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში ფუნქციონირებს სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის სამუსიკო სკოლა“, „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სურამის სამუსიკო სკოლა“ და „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა“. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 18, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე 19 ლარის ოდენობით სასწავლო და არასასწავლო პერიოდშიც (პედაგოგთა და სხვა პერსონალის სტაბილური და სისტემატური ანაზღაურების უზრუნველსაყოფად)

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 105108 ლარი, რაც გათვლილია 461 მოსწავლეზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს პროგრამის შედგენის მომენტისათვის სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა

№	დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	ერთი მოსწავლის დაფინანსების სიდიდე	სუფსიდიების ოდენობა წლიურად
№1	არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა	254	19	57912
№2	არასამეწარმეო იურიდიული პირი სურამის სამუსიკო	123	19	28044
№3	არასამეწარმეო იურიდიული პირი ქვიშხეთის სამუსიკო	84	19	19152
სულ				105108 ლარი